



BAU INTERNATIONAL UNIVERSITY BATUMI LIMITED

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №02/68

ქ. ბათუმი,

13 სექტემბერი 2018წ

„რექტორის 2018 წლის 07 სექტემბრის №02/63 ბრძანებაში ცვლილება/დამატების შეტანის თაობაზე“

ვხელმძღვანელობ რა, რექტორის 2018 წლის 13 სექტემბრის №03/25 ბრძანებით „აკადემიური კალენდარში ცვლილებების შეტანის შესახებ“, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №6 დადგენილებით „სტუდენტთა სტატუსისა და მობილობის შესახებ“ დებულების, წესდების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ცვლილება/დამატება შევიდეს რექტორის 2018 წლის 07 სექტემბრის №02/63 ბრძანების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „სტუდენტთა აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის პროცესი“.
2. ცვლილება შევიდეს ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმში, ჩარიცხვის უფლების მქონე სტუდენტთა აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2018 წლის 12 სექტემბრიდან 2018 წლის 28 სექტემბრამდრის დღის 13:00 საათამდე.“
3. რექტორის ბრძანებას დაემატოს 4¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„სტუდენტებს დაევალოს აკადემიური რეგისტრაციისას წარმოადგინონ სწავლის საფასურისა (I სემესტრი) და აღსადგენი სასწავლო კურსის კრედიტების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი“.
4. რექტორის 2018 წლის 07 სექტემბრის №02/63 ბრძანების სხვა ნაწილი დარჩეს უცვლელად.
5. სტუდენტებს განემართოთ ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის გაუვლელი ან/და სწავლისა და აღსადგენი კრედიტების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოუდგენლობა გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.
6. სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენა მოხდება მხოლოდ საგაზაფხულო სემესტრში სტუდენტის განცხადებისა და სტატუსის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენის შემდგომ.

7. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტები არ დაიშვებიან სააუდიტორიო მეცადინეობებზე.

8. სტატუსის შეჩერებისას სტუდენტებს განემარტოთ, რომ სტატუსის აღდგენის შემთხვევაში გაზაფხულის სემესტრში მათ მოუწევთ დამატებით იმ სასწავლო კურსების ათვისება, რომლებიც წარმოადგენენ წინაპირობას გაზაფხულის სემესტრის სასწავლო კურსებისათვის.

9. კორესპოდენციისა და ადამიანური რესურსების სამსახურს დაევალოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა შესაბამისი სამსახურისათვის და განთავსდეს ოფიციალურ ვებ - გვერდზე.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანების პროექტი ძალაში შესვლისთანავე დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, მისამართზე - ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30.

რექტორი, პროფესორი
ისმეთ დინდარ



INTERNATIONAL UNIVERSITY
B A T U M I